აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, სტრესი და გამკლავების სტრატეგიები

მაია ანთიძე

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია, მაგისტრატურა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

სარჩევი

აბსტრაქტი i

1. სტრესის, ფსიქო ემოციური მდგომარეობისა და გამკლავების სტრატეგიების განხილვა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობლებთან მიმართებით. 3

1.1. სტრესი, მისი ფორმები და გავლენა ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე 3

1.2. მშობლობის სტრესი აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობლებში 4

1.3. გამკლავების სტრატეგიები და ფსიქო-ემოციური მდგომარეობა 10

2. კვლევის მეთოდი 14

2.2. კვლევის შერჩევა 14

2.3. პროცედურა 14

3. კვლევის შედეგები 16

3.1. ეჭვები 16

3.2. სოციალური ურთიერთობები 17

3.3. დიაგნოზი 19

3.4. შფოთვა 22

3.5. ემოციური სირთულეები 24

3.6. საკუთარი თავის აღქმა 26

3.7. სოციალური მხარდაჭერის მიღება 29

3.8. მოქმედება 31

4. მონაცემთა ანალიზი 34

4.4. დასკვნა და რეკომენდაციები 37

4.5. კვლევის შეზღუდვები 38

5. გამოყენებული ლიტერატურა 40

6. დანართი 44

6.1. I კითხვარი: 44

6.2. II ორგანიზაციის ინფორმირებული თანხმობის ფორმა: 45

6.3. III მონაწილის ინფორმირებული თანხმობის ფორმა 45

6.4. IVკვლევის შედეგები ცხრილის სახით 46

აბსტრაქტი

კვლევის საკითხია: აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, სტრესი და გამკლავების სტრატეგიები.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, დაედგინა, თუ რა აღიქმება სტრესულად საქართველოში მცხოვრები, ეროვნებით ქართველი აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების დედებისათვის დიაგნოზის ჭრილში, როგორ აისახება ეს ყოველივე მათ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე და როგორ ახერხებენ ამ სტრეს ფაქტორებთან ბრძოლას, რა დაძლევის სტრატეგიებს იყენებენ ისინი.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 10-მა რესპოდენტმა, რომელთაც ჩაუტარდათ ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ, ინტერვიუები ჩაიწერა აუდიო ჩამწერის გამოყენებით, გაკეთდა მათი ტრანსკრიპტები და შემდგომ დამუშავდა თვისებრივი კვლევის თემატური ანალიზის მეთოდით.

შედეგად, გამოვლინდა რამდენიმე თემატური კონცეპცია. სტრეს ფაქტორების ჭრილში- ეჭვები, სოციალური ურთიერთობები და თავად დიაგნოზთან დაკავშირებული სირთულეები თუ ვალდებულებები. ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჭრილში- შფოთვა და ემოციური სირთულეები. გამკლავების სტრატეგიების ჭრილში- ემოციაზე ორიენტირებული გამკლავების სტრატეგიები. საკუთარი თავის აღქმა და სოციალური მხარდაჭერის მიღება. პრობლემაზე ორიენტირებული დაძლევის სტრატეგიები. მოქმედება, ბავშვის განვითარებაში ჩართულობა; ფსიქოგანათლება/ინფორმაციის მოძიება.

შედეგად, კვლევის მიგნებები მიუთითებს, რომ აუტისტური სპექტრის დიაგნოზის მქონე ბავშვის აღზრდა რთული და გამოწვევებით სავსე გამოცდილებაა. დედები განიცდიან რიგი სტრეს-ფაქტორების ზემოქმედებას რომლებიც ბავშვის დიაგნოზთან, მის მართვასთან დაკავშირებულ სირთულეებს, საზოგადოების დამოკიდებულებას, თუ ბავშვზე მუდმივი ზრუნვის აუცილებლობას უკავშირდება. რაც უარყოფითად აისახება დედების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე და, შესაბამისად, ამ ყველაფერთან გასამკლავებლად დედები აქტიურ დაძლევის სტრატეგიებს იყენებენ.

საძიებო სიტყვები: აუტისტური სპექტრი, დედები, სტრეს-ფაქტორები, ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, გამკლავების სტრატეგიები.

Abstract

The subject of the research is: psycho-emotional state, stress and coping strategies among mothers of the children with autism spectrum disorder.

The purpose of the study was to determine what is perceived as stressful for the Georgian mothers of children with ASD (in terms of diagnosis), how it affects their psycho-emotional state and how they manage to deal with these stress factors, what coping strategies they use.

10 respondents participated in the research, they were given a semi-structured interview, the interviews were recorded using an audio recorder, their transcripts were made and further processed using the thematic analysis method of qualitative research.

As a result, several thematic concepts were identified. In terms of stress factors - doubts, social relations and difficulties or obligations related to the diagnosis itself. In terms of psycho-emotional state - anxiety and emotional difficulties. In terms of coping strategies - emotion-focused coping strategies. Self-perception and receiving social support. Problem-focused coping strategies. action, involvement in child development; Psychoeducation/Information Retrieval.

To conclude, research findings indicate that parenting a child with an autism spectrum diagnosis is a difficult and challenging experience. Mothers are affected by a number of stress factors related to the child's diagnosis, difficulties related to its management, society's attitude, or the need to constantly care for the child. Which has a negative impact on the psycho-emotional state of mothers, and therefore, to deal with all this, mothers use active coping strategies.

key words: autistic spectrum, mothers, stress factors, psycho-emotional state, coping strategies.